



საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

ქ. თბილისი

7 მაისი 2015 წ

ბრძანება № 22-7.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის და საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების“ მე-13 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში (შემდგომში - ფონდი) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი - ანა ბაქანიძე.
2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირის ელექტრონულ მისამართად განისაზღვროს: bavshvtafondi@gmail.com.
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობისა და მისი

ელექტრონული მისამართის შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება განხორციელდეს ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.fondi.gov.ge).

4. ამ ბრძანების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ს.ს.ი.პ. ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ ფონდის დირექტორის 2013 წლის 23 სექტემბრის N52 ბრძანება.

5. დაევალოს ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსს - ანა ბუხრაშვილს ამ ბრძანების დაინეტერესებული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

7. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფონდის დირექტორი

ირაკლი ჟორჟოლიანი

